ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1351235

ნომერი: AR1230496

თარიღი : 19.06.2014

გაცემის თარიღი : 27.06.2014

გაცნობის თარიღი : 27.06.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქსნის ქუჩა , N 36 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ დალაქიშვილი პ/ნ 01024073326
- თბილისი

ორგანიზაცია:

- სს ლელო კოდი: 200002745

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადახედვისას როგორც დადგინდა, თქვენს მიერ შერჩეულ საპროექტო ტერიტორიაზე საკადასტრო გეგმის შესაბამისად ფიქსირდება სერვიტუტი, გამომდინარე აქედან, სანამ არ მოხდება მისი მოხსნა, აღნიშნულ ტერიტორიაზე კანონმდებლობით დასაშვები არ არის შენობა–ნაგებობის განთავსება.

იმ შემთხვევაში თუ მოიხსნება საკადასტრო ერთეულზე სერვიტუტის სახით არსებული ვალდებულება, შესაძლებელი იქნება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე მსჯელობა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა ზემოაღნიშნულის გასასწორებლად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.